# საქართველოს მთავრობის განკარგულება

**N 1788 2018 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი**

## სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიასათვის“ აღნაგობისა და იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ: №404485188) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 6170 (ექვსი ათას ას სამოცდაათი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეწიეთის მიმდებარედ არსებული, ამ განკარგულების №1 დანართში მითითებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 6170 (ექვსი ათას ას სამოცდაათი) ლარის გადახდა ყოველწლიურად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გამოყენება საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურების აშენების მიზნით, ამავე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით;

გ) შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ (ს/ნ: №404485188) საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ამავე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის გამოუყენებელ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ: №404485188) ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი სარგებლობის უფლების შეწყვეტის მოთხოვნით.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ:

№404485188) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად – 11830 (თერთმეტი ათას რვაას ოცდაათი) ლარად, იჯარის უფლებით გადასცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეწიეთის მიმდებარედ არსებული, ამ განკარგულების №2 დანართში მითითებული უძრავი ქონება.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 11830 (თერთმეტი ათას რვაას ოცდაათი) ლარის გადახდა ყოველწლიურად.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

დანართი N1

| N | საკადასტრო კოდი | კვ.მ | დანიშნულება | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | 28.24.25.029 | 6352 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 2. | 28.24.25.028 | 1119 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 3. | 28.24.25.035 | 9397 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |

დანართი N2

| N | საკადასტრო კოდი | კვ.მ | დანიშნულება | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | 28.24.25.026 | 953 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 2. | 28.24.25.030 | 1975 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 3. | 28.24.25.025 | 2351 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 4. | 28.24.25.032 | 2810 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 5. | 28.24.25.031 | 9310 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 6. | 28.24.25.034 | 12116 | არასასოფლო -სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი, მიმდებარედ |
| 7. | 28.24.25.036 | 61 | არასასოფლო-სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი |
| 8. | 28.24.25.037 | 321 | არასასოფლო-სამეურნეო | მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი მეწიეთი |